ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ცის ნამი

ხუთშაბათი 1907 წ. 13 დეკემბერი

გაზეთ „ცის ნამი“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ დღე. განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. ხელის მოწერა და დასბეჭდი განცხადებანი მიიღება „ცის ნამი“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Николаевская площадь, № 1.

№ 6. ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 6.

1907 წ. 6 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,

## „ც ი ს ნ ა მ ი“

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის გამოსვლის დღიდანვე.

გაზეთი წლიურათ თფილისში ღირს 7 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი და უსათუოთ ერთ გვერდზე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისათვის საჭიროა საფოსტო მარკები.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპეიკი.

რედაქციასთან .ირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქცია დროებით მოთავსეაულია: ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цисъ нами“.

გაზეთ „ცის ნამის“ რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების ისე ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ ფული და ყოველივე ცნობები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, редакція „Цисъ нами“, Николаевская площадь, домъ Вартанова № 1, **Захарію Степановичу Бичашвили**.

## „ეკალის“ აგენტების საყურადღებოთ.

„ეკალის“ რედაქცია დაბეჯითებით თხოვს ამ აგენტებს, რომელთაც ანგარიში არ აქვთ გასწორებული, გამოგზავნონ ხვედრი ფული უსათუოთ ერთი კვირის განმავლობაში.

ვინც ამ თხოვნას არ შეასრულებს აღნიშნულ ვადაში,—რედაქცია იძულებული გახდება იმათი სახელი და გვრები გამოაცხადოს გაზეთებში და ანგარიშის გასწორება სხვა საშუალებით მოთხოვოს.

**კვირას, 16 დეკემბერს**

ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ბავშვების იაფ-ფასიან და უზრუნველ-ყოფილ აღზრდა-განათლების კავკასიის სამზრუნველოს სასარგებლოთ

გამართული იქნება:

გრანდიოზული **სეირნობა**

ლატარია-ალეგრით

საშობაო დიდი ფერხული

„ყინულის პაპა“ ანგელოზები, მატროსები, პეიზანები, „პეიზანკები“, „კლოუნები“, ალ-ქაჯები, კუდიანები და სხვადასხვა მკითხავის ფეშქაშები,

ხორო მომღერალთა:

ბალალაიკების,

მუსიკის,

მანდოლინებისა,

„კატოკი“.

გრამოფონი.

გაიყიდება კონფეტები, ყვავილები, ხილი.

**ფოსტა და ბუფეტი.**

**ე ქ ი მ ი**

ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ბოზარჟიანცის, საკიანცის და გრიგორიანცის გაფიცულ მუშებს თფილისში დაუარსებიათ ფეხსაცმელის**

სამკერვალო ამხანაგობა

და მაღაზია გაუხსნიათ. ამით აუწყებენ მხმარებლებს, რომ ყოველნაირი შეკვეთა და დამზადებული საქონელი სუფთა და ხელ მისაწდომ ფასებში იქნება. ადრესი: ნეკრასოვის და ნიკოლაევის ქუჩის კუთხეში, № 11.

გამგე **თედო ლოთვაძე**.

თბილისი 13 დეკემბერი.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ღრმა, გაუვალი კვალი გაავლო ბიუროკრატიულ მთავრობის და ხალხ. შუა; მან ერთხელ და სამუდამოდ ჩატეხა მათი შემაერთებელი ხიდი და ეს .ორი, ერთი მეორის მოსისხლე მტერი—ერთ მანეთს დაუპირდაპირა.

შინ და გარეთ ნდობა დაკარგულმა ბიუროკრატიამ, თავის დაცემულ პრესტიჟის აღსადგენათ და ნდობის დასამსახურებლათ, ხალხს სათათბირო მისცა. ამნაირათ, მთავრობას უნდოდა ჩატეხილი ხიდი გაემთელებინა, უნდოდა ხალხისათვის გული მოეგო და შერიგებოდა მას. ეს როლი უნდა შეესრულებინა სათათბიროს.

მაგრამ, როგორც პირველი. ისე მეორე სათათბირო მთავრობისათვის მოულოდნელად ოპოზიციონურები აღმოჩნდნენ. ისინი ქრიჭაში ჩაუდგნენ მთავრობას და შეეცადნენ მისი ხელიდგან უფლებების გამოგლეჯას.

რა იყო ამის მიზეზი?

როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროს არ შეეძლოთ, რომ ოპოზიციონურები არ ყოფილიყვნენ, პირველად იმისათვის, რომ ისინი მოქმედებდნენ ისეთ დროს, როდესაც ხალხის მოძრაობის ტალღები გორავდა, როდესაც ეს ტალღები მაღლა იყო აწეული, ამ სათათბიროებზე მძლავრი გავლენა ჰქონდა ხალხის რევოლიუციონურ ზედ-მიწოლას მათ ძალა-უნებურათ მარცხნივ მიაქანებდა და რეაქციონურ მთავრობას უპირდაპირებდა. როგორც პირველი, ისე მეორე სათათბირო, მთელ თავის მოქმედებაში, ცხოვრებაში არსებულ, პოლიტიკურ არენაზე მებრძოლ სოციალ-პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობას, მათს განწყობილებას ზედ-მიწევნით ხატავდა.

მეორედ, პირველი და მეორე სათათბირო ოპოზიციონური იყო თავის შედგენილობით. იქ, მიუხედავად სამ-სამართლიან არჩევნებისა, რომელიც ოპოზიციონურ-რევოლიუციონურ ძალებს სცხრილავდა, მაინც საკმარისად იყვნენ წამოყენებული ასეთი ელემენტები.

ბიუროკრატიულმა მთავრობამ, რომელიც თავის დაძაბუნებულ ბატონობის და რეაქციონურ პოლიტიკის გასატარებლად უნდოდა გამოეყენებინა სათათბირო, როგორც პირველი, ისე მეორე „კრამოლნიკური“ სათათბირო გარეკა და მონა-მორჩილ სათათბიროს შესადგენად 3 ივნისის კანონი გამოსცა. ამ კანონით ისედაც მცირე უფლებიან ქალაქის და სოფლის მუშა ხალხს ხმები წაართვა, შავ-რაზმელ მემამულეებს კი ფართეთ გაუხსნა გზა სათათბიროსაკენ.

მთავრობამ მიზანს მიახწია: შესდგა შავ-რაზმული სათათბირო, რომელიც ერთ თვეზე მეტია, რაც უნაყოფოთ მუშაობს. დღევანდელ შავბნელ რეაქციის დროს შემდგარი მესამე სათათბიროს, ჯერ ისევ გამორკვეულ მდგომარეობაშია. ის მუდამ რყევასა და ყოყმანშია; მას არა აქვს გარკვეული გზა, რომელზედაც მან უნდა იაროს.

სათათბიროს უმრავლესობას, როგორც უკიდურეს, ისე ზომიერ მემარჯვენეებს და ოქტრისტებს, ჯერაც ვერ შეუდგენიათ და არსებითათ ვერც შეუძლიათ შეადგინონ ერთი ცენტრი, რომელზედაც მთავრობას შეეძლოს დაყრდნობა.

ამნაირად, სახელმწიფოებრივი თავვგზა აბნეული და მახირჯი გემი იმ დრომდის იქნება ბიუროკრატიის ნავთ საყუდელში ასე უაზროდ გაჩერებული, სანამ დღევანდელ დაწუნარებულ ცხოვრების ზღა არ აბობოქრდება და მასაც არ აამოძრავებს.

მესამე სათათბიროს თავ-გზა-აბნეულობა, მისი ერთ ალაგას უაზრო ტორტმანი და უილაჯობა აიხსნება იმავე მიზეზებით. პირველი მიზეზი არის დღევანდელი მიყუჩებული ცხოვრება და რეაქციის თავაშვებული თარეში. შავი ღრუბლებით გარემოცული პოლიტიკური ჰორიზონტი სათათბიროსაც შავ-ბნელათ აქვს შემოგრაგნილი. ის იძულებულია დაემორჩილოს იმ სულის შემხუთავ ატმოსფერას, რომლითაც დღეს გაჟღენთილია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. მეორე მიზეზი,—მესამე სათათბიროს შედგენილობაა, სადაც, 3 ივნისის კანონის წყალობით, თავ-მოყრილია უპრინციპო, გაუთლელ და უზრდელ შავ-რაზმელთა ბრბო.

რას უნდა გამოველოდეთ ასეთ სათათბიროსაგან?

სანამ ხალხი არ ამოძრავდება და საერთო ზედ-მიწოლით ამ დანჯღრეულ გემსაც ძალაუნებურად აამოძრავებს; სანამ გაყინული ცხოვრება არ აბობოქრდება და მაზედ გადაკრულ რეაქციის შავ ზეწარს არ გაარღვევს მანამ მესამე სათათბირო ბიუროკრატიისაგან განსაზღვრულ და ვიწრო კანონების ჩარჩოებში იქნება მომწყვდეული და მატარებელი იქნება მხოლოდ რეაქციონურ მთავრობის პოლიტიკისა..

## მცირე შენიშვნა.

ფრიად საყურადღებო და სასიამოვნო მოვლენაა ჩვენში, რომ საპატიო მოღვაწის სახელობაზე, მის ხსოვნის პატივის საცემლათ აარსებენ ხოლმე მის სახელობაზე ფონდს, რომ ამ ფონდით რაიმე სახალხო, სასარგებლო საქმე აწარმოვონ. თუმცა ამ მხრივ ურიცხვი ფონდებია ჩვენში დაარსებული და ყოველ წლივ, ცოტათ თუ ბევრათ, იზრდება ეს თანხები, მაგრამ ჯერ არც ერთის ასეთის ფონდის მოქმედებაში გამოხატული ნაყოფიერი შედეგი, არსადა სჩანს. მართალია, ჩვენში, როგორც ქონებივრათ დაქვეითებულ ხალხში, მეტათ ფერმკრთალია ასეთ ფონდების ზრდა, მართალია მთელი ხალხი, ფართე მასსა არ იღებს დღეს ფაქტიურ მონაწილეობას ამისთანა საქმეში, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკვე არსებული ფონდების მოქმედებაც ფეხმოკლეა, რადგან ფეხმოკლეა თვით ძალღონე, თვით ფაქტიური შეძლება სხვადასხვა ფონდისა. სხვათა შორის, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ განსვენებულ რაფ. ერისთავის ფონდის ბედი. რამდენათაც მახსოვს, გადაწყვეტილი იყო მის ფონდის სარგებლით დაეარსებინათ განსვენებულ პოეტის სახელობაზე მის სამშობლო სოფელ ქისტაურში სკოლა. რამდენადაც ვიცით კერძო ცნობებიდან, სოფ. ქისტაურს თვითონ გაუხსნია სკოლა განსვენებულ რაფ. ერისთვის სახელობაზე და თავისის ხარჯით ინახავს მას. სასურველია და შესაძლებელიც, რომ სოფ. ქისტაურში, რაფაელის სახელობაზე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო მაინც გაიხსნას, მით უმეტეს, რომ ფონდის საერთო ჯამი, როგორც „წ. კ. საზოგადოების“ ანგარიშიდანა სჩანს, თითქმის ორას თუმანს აღწევს.

მიმდინარე, 1907 წლის შემოსავალი ამ ფონდის სასარგებლოდ ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ 1906 წლის თანხაც რომ მივიღოთ სახეში, მისი სარგებელი სავსებით საკმარისი იქნება სოფ. ქისტაურში ბიბლიოთეკის მოსაწყობად, პირველ ხანებში. მით უმეტეს, რომ რაკი ბიბლიოთეკა გაიხსნება, მას სხვა, როგორც ადგილობრივი, ისე გარეშე დახმარებაც აღმოუჩნდებოდა.

მივაქცევთ, წ. კ. გ. საზოგადოების“ წლიურ კრების ყურადღებას ამ საქმეზე და იმედი გვაქვს რომ თუ ამ კრებაზე არა, მომავალ, 1908 წ. მაისის საზოგადო კრებაზე მაინც გადასწყდება ეს საკითხი.

ნარკანი.

## სტიპენდიები ჩვენში.

ჩვენ რომ ღატაკი, ნივთიერათ დაქვეითებელი ხალხი ვართ, ამაში ეჭვი არავის დაებადება. ჩვენში, რომ ძლიერი მისწრაფებაა და ძლიერი ლტოლვილება სწავლის მიღებისათვის, არც ესაა საიდუმლო ამბავი. მაგრამ საგულმკვდროა ის შემზარავი მოვლენებია რომელნიც დრო და დრო გულს გვიწყლავენ თავის უკიდურესის სიმწვავით. წარსულ კვირას, მაგ. თავი მოიწამლა კურსისტკამ ქუთათელაძემაო. ასეთ გულსაკლავ შემთხვევებს დრო-დადრო მოუტივტივებს ხოლმე ცხოვრების შეუბრალებელი ტალღები და ღრმად ჩააფიქრებს ყველა გულწრფელ საზოგადო მოღვაწეს. ათასობით აწყდება ჩვენი ახალგაზრდობა რუსეთისა და უცხოეთის სასწავლებლებს, რადგანაც ჩვენ არ მოგვეპოვება არცერთი ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებელი, და სწავლის მიღების წყურვილსა და ბრძოლაში იღუპებიან, გაალმასებულ შიმშილობის უფსკრულში. ჩვენ აქ

მხოლოდ ახალგაზდობის იმ ნაწილზე ვლაპარაკობ, რომელნიც ღარიბ ქოხის შვილები არიან და ნივთიერათ არ შესწევთ ძალღონე საარსებო ლუკმა-პური იქონიონ, გარეშე შრომისა, გარეშე დახმარების გარეითად.

თუმცა ამავე დროს, მიუხედავად ჩვენის ეროვნულის სიღატაკისა, აქაიქ მოიპოვებიან, ცოტათ თუ ბევრათ შეძლებული პირნი, რომელნიც თავის თანაგრძნობას რაიმე შეწირულებით გამოხატავენ საზოგადოებრივ საჭიროებათა დასახმარებლათ. ასეთია, მაგ. ძმათა ზუბალაშვილების შეწირულება, ყოველწლიური 6000 მ. რომელიც მათ გარდაუციათ „ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების“ გამგეობაში, მოსწავლე ახალგაზდობის დასახმარებლად. მაგრამ რამდენათ სასურველათ, სამართლიანათ და სასარგებლოთ შეიძლებს „საზოგადოების“ გამგეობა ამ დახმარების განაწილებას სტიპენდიანტთა შორის, ს სადაო კითხვაა. ამ მხრივ, ჩვენ სავსებით ვ თანხმებით ბ-ნ გოგებაშვილის აზრს (ისარი № 273), რომ საჭიროა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, გამგეობის გარეშე მდგომ პირთაგან, რომელიც გაანაწილებს ამ სტიპენდიებს. ხოლო, ბ-ნ გოგებაშვილის აზრს დავუმატებთ იმას, რომ ამ კომისიამ გაანაწილოს არამც თუ მხოლოდ ის სტიპენდიები, რომელიც ძმათა ზუბალაშვილებს გაუაუდვიათ, არამედ სხვანიც, უკვე არსებული-ბ. სარაჯიშვილისა და სხვათა. ვინ უნდა აირჩიოს ეს კომისია? კომისია უნდა აირჩიოს საგანგებო კრებამ, რომელსაც დაესწრება ყოველი მსურველი, ყოველი თანამგრძნობი ამ საქმისა. ამ კრების კარები ღია უნდა იყოს ფართე მასსისთვის. ამ გვარად არჩეული სასტიპენდიო კომისია, ვფიქრობთ, რომ უფრო სრულ-უფლებიანი და უფრო კანონიერი განმახორციელებელი იქნება საზოგადოებრივის აზრისა ამა თუ იმ სტიპენდიანტზე. ამასთანავე, უკეთესი იქნებოდა, რომ უკვე მოსწავლე (საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში) ახალგაზდების შესახებ, სასტიპენდიო კომისიამ იხელმძღვანელოს ხოლმე მის ამხანაგების, სტუდენტთა მთლიან კორპორაციის აზრით, რადგანაც ისინი უკვე იცნობენ თავის ამხანაგების ნიჭსაც, ენერგიასაც, ნივთიერ მდგომარეობასაც და სხ. ყოველ შემთხვევაში უკეთ, ვიდრე, რომელიმე კერძო პირი.

ჩვენში იყო ისეთი გაუგებარი შემთხვევებიც, როდესაც სტიპენდიას თხოულობდნენ უკვე ცნობილი მწერალ-მოღვაწენი და უარი მიიღეს. მაგ. სათავად-აზნაურო ბანკის საქციელია: უკვე ცნობილ მწერლის ია ეკალაძის მიმართ(ცინცაძეს), რომლის ფიზონომია უკვე გამორკვეული იყო ყველასთვის.

მაგრამ დღევანდლამდე ჩვენში, რომ სტიპენდიები, როგორც ყველა სხვა საქმე, ნათლიმამობაზეა დამყარებული, ეს ყველასათვის ცხადი ფაქტია. აი, სწორედ ამ უბადრუკ მოვლენას უნდა შეებრძოლოს სასტიპენდიო კომისია, რომლის დაარსებასაც ჩვენ ვასახელებთ. ეს კომისია უნდა იყოს ცენტრალური, ყველა არსებულ და მომავალ სტიპენდიების გამნაწილებელი და დამბრუნებელი.

სანამ ამისთანა ცენტრალური, ფართე მასის მიერ დადასტურებული, ორგანო არ დაარსდება ჩვენში, მანამდე სტიპენდიების საქმე ისევ ძველებურათ, ჩვენებურათ იწარმოებს. ე. ი. სასტიპენდიოთ დახარჯული ფული ფუქსავატათ საზოგადოებრივ ინტერესებისათვის უნაყოფოდ ჩაივლის.

ჩვენის აზრით სტიპენდიები უნდა ეძლეოდეს მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ხელმოკლე ახალგაზდებს, რომლებიც თავის მოღვაწეობას, თავის ენერგიასა და ძალღონეს მარტოოდენ საზოგადოებრივ მოღვაწეობისაკენ გადახრიან.

ამ საკითხის გადაწყვეტაში არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს რაიმე პარტიულ მიდრეკილებას. ცხოვრებისათვის საჭიროა როგორც პოეტი, ბელეტრისტი, მომღერალი, არტისტი, ისე იურისტი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, მეცნიერი და სხვ.

ნარკანი

# ახალი ამბავი

**რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, გაზ. „ცის ნამი“ ოთხშაბათს, 12 ქრისტიშობისთვეს, ვერ გამოვიდა.**

✦ **სამღვდელოების კრება.** გუშინ, 12 დეკემბერს, სინოდალურ კანტორის პროკურორის ბინაზე უნდა დაწყებულიყო კრება ქართლ-კახეთისა და ბაქოს საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატებისა. კრება დღეისათვის გადაიდო, რადგანაც 12 დეპუტატი არ გამოცხადდა. სამღვდელოებას ბევრი ისეთი საკითხები აქვს გინსახილველი, რომელთაც ეროვნული ხასიათი აქვს. კრება ექსარხოსის განკარგულებით არის შემდგარი. კრებაზე არ უშვებენ არამც თუ არა-დეპუტატათ სასულიერო თუ საერო პირს, პრესის წარმომადგენლებსაც კი. ასეთ განკარგულების გამო დეპუტატებს განზრახვა აქვთ სრულიადაც არ მიიღონ კრებაში მონაწილეობა, პროტესტი გამოაცხადონ და დაბრუნდნენ თავთავიანთ სამრევლოებში.

✦ **კრებაზე დაპატიმრება.** 11 დეკემბერს, პოლიციელებმა დააპატიმრეს: ნიკოლოზ კინჟალაძე, ნ. ქანარიძე, გრ. ხეცურიანი, პლატონ კერესელიძე, ლევან ფრუიძე, პეტრე ახვლედიანი, პავლე ჯორჯიაშვილი, ივანე ნიკოლაიშვილი, სპირიდონ აბულაძე, გიგო კუპრიშვილი, რაჟდენ ფრუიძე, გაბრიელ მახარობელიძე, გრიგოლი დაგანელიძე, და ვლ. ადუაშვილი, რომელნიც, ადმინისტრაციის ნება დაურთველად შეკრებილან, 11 დეკემბერს, ღამით ტრაქტირ „ტრუდში“ და იქ თათბირი გაუმართავთ სატრაქტირო დაწესებულებათა მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. დაპატიმრებულნი საპატიმროში გაგზავნეს.

✦ **სტამბის ჩხრეკა და შრიფტების წაღება.** ღამით, 11 დეკემბერს, პოლიციელებმა, ჯარის-კაცთა დახმარებით, პოლიციის მე-9 ნაწილში, სემენოვის ქუჩაზე, კ თავართქილაძის სტამბა გაჩხრიკეს. წაიღეს გაზეთ „წყაროს“ აწყობილი შრიფტი და გაზეთი დაკეტილად გამოაცხადეს პოლიციელებმა. ამავე საღამოს გაჩხრიკეს „წყაროს“ რედაქციის ბინა. არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ **მამასახლისის დაჭრა.** სოფ. ოძისიდან გვატყობინებენ (გორის მაზრა) 9 დეკემბერს, საღამოთი სამი უცნობი შესცვივნია მამასახლის ნიკო ფარნიშვილს თავის დუქანში და ხანჯლით ორგან დაუჭრიათ ხელში. მიზეზი გამოურკვეველია. ეს ამბავი შეუტყვია იქ მდგომ კაზაკთა რაზს, რომელსაც სოფლისთვის ალყა შემოურტყავს და დაუწყია ჩხრეკა სახლებისა. შემთხვევით დაუჭერიათ გზად მიმავალი ერთი უცნობი, რომელსაც ამ საქმეში მონაწილეობას აბრალებენ. ის ყოფილა ლამისყანელი ლექსო. ორი კი უგეზოდ დაკარგულია.

✦ **გაფიცულ მუშების დაპატიმრება.** 11 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, თფილისის სხვადასხვა სასმელ დუქნებში პოლიციამ შეიპყრო გაფიცულ მუშებთაგანი: თფილისის გუბერნიის მცხოვ. დავითა კახუროვი, თელავის მაზრისა შაქრო ელიშვილი და ოზურგეთის მაზრის ივან კალანდაძე; უკანასკნელს ბრალდება ხაზეინების წინააღმდეგ აქტიურ ბოიკოტში მონაწილეობის მიღება.

✦ **უდიერი მამა.** ჩვენ გვთხოვენ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ იმ საზიზღარ მოქმედებაზე, რომელსაც იჩენს მალაკნის ქუჩაზე მცხოვრები სახლი № 50 ვინმე „ხარჩევნიკი“ არსენ ლებანიძე. ამ ვაჟბატონს ცოლშვილი უპატრონოთ უყრია და თავის 14—15 წლის ვაჟს მხეცურათ, ეპყრობა. ერთი ამისთანა მაგალითი განმეორდა 11 დეკემბერს: გამხეცებულმა ლებანიძემ თავის შვილს წაუჭირა ბაწარი კისერში და ხელებში და შეარულს ისე მაგრად დაუწყო ცემა, რომ ბავშვს სისხლი გადმოსდიოდა, ნამეტნავათ კისრიდან, საცა თოკი ქონდა წაჭერილი და სისხლის შეჩერება ძლივს მოახერხა მაშველმა ხალხმა, როგორც გადმოგვცეს მისი უდიერათ მოპყრობის მიზეზი ვინმე როსკიპი ქალია, რომელთანაც ვაჟბატონი ლებანიძე ცხოვრობს.

✦ **სამართალში მიცემულნი.** თფილისის ოლქმს სასამართლომ ამ დღეებში მიიღო განსახილველათ საქმე ყავრიშვილისა და ობოლაძისა რომელთაც ბრალდებათ გამოძიებისაგან აღმოჩენილ პირებთან ერთათ თფილისის სამეურნეო სასოფლო ბანკზე თავდასხმა, 16000 მანეთამდე ფულისა და ფასიან ქაღალდების გატაცება და ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს განზრ ლი მოკვლა. ეს საქმე ოლქის სასამართლოში მალე იქნება განხილული.

✦ **ახალი შანტაჟი.** ბათუმის მყოფ საბერძნეთის კონსულის განცხადებისამებრ, „სისკნოი“ განყოფილების მოხელეებმა ავლაბაში, კახეთის ქუჩაზე გაჩხრიკეს არუთინოვის სახლში ბინა საბ რძნეთის ქვეშევრდომთა კონსტანტინე და გიორგი იანუსებისა, კონსტანტინე ტანგონოვისა, ნ. სურლივისა, ფილიპე ტატანოვისა და ვასილ კოცელოსისა და ამოუჩინეს მათ რამდენიმე ბავშვი საბერძნეთიდან მოტაცებულნი, გაჩხრ კილთ აღმოაჩნდათ 7 ბავშვი ვასილ ზამბარასი, გრიგოლი 13 წლისა, ათანასე 20 წლისა, ხრისხასი 11 წლ., ვასილი 15 წლ., კაციაისი გრიგოლი 13 წლისა, ენაკასი, სტეფანე პალასიაევი 18 წ.

# ფელეტონი

* * *

გაზაფხულზე—ლურჯი მწვანე,
მოქარგული მთა და ველი,
ცა ლაჟვარდი, მოწმენდილი
და ბულბული საყვარელი!
ზამთარში კი—მოღრუბლული,
მოქრუშული არე-მარე,
წარბ-შეკრული მაღალი მთა,
ფერ-მიმკრთალი მზე და მთვარე!
მაგრამ გული გაზაფხულზეც,
ვით ზამთარშიც ჩაოხრობილა,
და რიჟრაჟი ტკბილი გრძნობა
თეთრ სუდარით დათოვლილა!
არა, არა! რის ზამთარი
და რის ტურფა გაზაფხული?!—
ერთსაცა და მეორესაც
ცივათ უცქერს ჩემი გული!
თვით ზამთარიც მისთვის მაშინ
აყვავდება, გადიშლება,
როცა დროშა—მძლავრი დროშა
სიამაყით გაიშლება!
და მებრძოლი—ის დაღლილი,
მოისვენებს იმის ჩრდილში,
ზამთარიც და გაზაფხულიც
გამოითქმის მის ღიღინში!

ი. ევდოშვილი.

## მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

(დასასრული *)

V

თფილისში, 18 ოქტომბერს, შუადღის დროს გავრცელდა მანიფესტი. ტანისამოს გამოცვლილი და სახეშეცვლილი ვანო ამ დროს ამხანაგებთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე დასეირნობდა. მოსეირნე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და მანიფესტს კითხულობდა. ჯგუფები თანდათან გაიზარდა, ორატორები გაბედულათ ალაპარაკდნენ და მანიფესტს სხვა და სხვა მხრივ შეეხნენ. თავის თავად აქა-იქ გაიმართა პატარა მიტინგები. ხალხის გამარჯვებით აღტაცებული ვანოც ერთ მიტინგზე მოექცა და პროლეტარიატის თვალთა ხედვის ისრით კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, როგორც მანიფესტი, ისე სხვა პარტიების ორატორების ნალაპარაკევი.

ხალხი თანდათან ზვავდებოდა, ჯგუფები ერთდებოდა; ამნაირად შესდგა და გაიმართა ერთი გრანდიოზული, უმაგალითო მანიფესტაცია. სახაზინო თეატრის წინ, პატარა ხანს შეჩერდნენ მანიფესტანტები, მოითხოვეს ორკესტრი და მარსელიოზა დააკვრევინეს. ზევით, აივნიდან გრიალებდა მებრძოლი პროლეტარიატის ამაღელვებელი სიმღერა, ძირს ქუდ-მოხდილი ხალხიც ორკესტრთან ერთად გუგუნებდა. გაჩუმდა ორკესტრი; მანიფესტანტებმა გზა განაგრძეს.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; წინა რაზმებში განუწყვეტელი მარსელიოზა და სხვა რევოლიუციონური სიმღერები ისმოდა. ხალხი გზა და გზა ხელ-დახელ გაკეთებულ წითელ დროშებს აფრიალებდა. სახლების აივნებიდან და ღია ფანჯრებიდან დიდებთან ერთად ბავშვებიც კი პატარა წითელი დროშებით ხელში მანიფესტანტებს მოღიმარი სახით გადმოსცქეროდნენ. მოზღვავებული ზღვა-ხალხის ტალღა დიდ ქუჩებში ძლივს იმართებოდა და წინ თამამათ და მძლავრათ მიმდინარეობდა. მზეც კი არაჩვეულებრივად ბრწყინავდა და აბობქრულ ხალხის ზღვას მხიარული სხივებით დასთამაშებდა.

დიდებულ და ფართე ტრიალ მინდორზე გაიმართა პირველი დიდებული სახალხო მიტინგი.

აქედან მანიფესტანტები იმავე წესით ნაძალადევისკენ გაემართნენ, სხვა და სხვა პარტიის ორატორები გაცხარებული ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ და აგზნებული სიტყვებით მსმენელთ მოხიბლვას ცდილობდნენ.

ტანჯულ-წამებული ვანო შესცქეროდა ხალხის ამ დიდებულ, უმაგალითო მოძრაობას, თავისუფლების პირველ სხივზედვე მის აუარებლად მოზღვავებას და მის აღტაცებას მთელი დღე საზღვარი არა ჰქონდა.

19 ოქტომბრის მიტინგის თავმჯდომარედ ხალხმა აარჩია ცნობილი მოხუცი მებრძოლი: მოხუცი ტრიბუნაზე შედგა. ბნელ სარდაფებში ფარულად და მალულად პარტიულ მუშაობას ნაჩვევი, საპყრობილეებით და ციმბირით გაჭალარავებული, ის ეხლა ტრიბუნიდან თავისუფალ მზის ქვეშ წითელ დროშების ტყეს და ზღვა-ხალხს ცხადლივ დაჰყურებდა. აუწერელმა გრძნობათა ღელვამ მას ერთ-ხნობით ენა დაუბა; მოხუცი მრავლად შეკრებილ ხალხს ხედავდა და თვალებს არ უჯერებდა. მან გატანჯული ხელები ზევით, მზისაკენ აღაპყრო და იესოს მიმრქმელი, სვიმონის სიტყვების თქმაც კი სრულად ვერ მოასწრო, რომ გული წაუვიდა... ხალხი ამ სურათის დანახვაზე შეშფოთდა, შეირყა, შეტორტმანდა და მოხუცი მიტინგიდან გაიყვანეს, ხალხი დაამშვიდეს და დაწყებული მიტინგი განაგრძეს.

მთელ რუსეთში დაიწყო ოქტომბრის და ნოემბრის დიდებული დღეები; ხალხი ფეხზე დადგა; ციხეებიდან პოლიტიკურები გაანთავისუფლეს. მთელი რუსეთი წითელი დროშებით და მრავალ რიცხოვან მიტინგებით მოიფინა.

რუსეთის ცხოვრება, მთელ თავის სიგძე-სიგანით, ყველას თვალწინ აშკარათ გადაიშალა; თავისუფლების სხივით მოფენილ ცხოვრების სარბიელზე სხვა და სხვა კლასები და ჯგუფები ამოცურდნენ; მათი ინტერესების გამომხატველი და დამცველი პარტიებიც თავის ნამდვილის სახით პოლიტიკურ ასპარეზზე გაბედულათ გამოვიდნენ და თავ-თავის შესაფერ ადგილებზე დაირაზმნენ.

ხან მოკლე პოლიტიკურმა თავისუფლებამ ენერგია ერთი ასად გაზარდა, გააძლიერა და მუშა ხალხის ფართე მასსა პარტიას მიაწყდა. ასეთ თავისუფლების ნიადაგზედვე აღმოცენდა სხვა და სხვა პროფესიონალური კავშირებიც.

ვანო და მისი ამხანაგები გაათკეცებულის ენერგიით დღე და ღამ მოუსვენრათ მუშაობდნენ, კრებებსა მართავდნენ, კამათობდნენ, ხელმძღვანელობდენ და სხვა.

VI

გათენდა დაუვიწყარი 22 ოქტომბერი. მთელ თბილისს ელვასავით მოედო ამბავი, რომ დღეს ხულიგანები მანიფესტაციას აპირებენო; მოქალაქენი შიშის ზარმა მოიცო; ყველამ კარგათ იცოდა, თუ რას ნიშნავდა პაგრომშჩიკ ხულიგანების მანიფესტაცია. ნაძალადევის გარედ, დასავლეთით, ტრიალ მინდორზე კი ამ დღესაც ორ ადგილას მრავალ რიცხოვანი ჩვეულებრივი მიტინგები იყო.

სამისიონერო ეკლესიიდან, წირვის მოსმენის შემდეგ, შეიარაღებული და არყით შეზარხოშებული ხროვა ხულიგანებისა სამფეროვანი დროშებით და ლრიანცელით გაემართა გოლოვინის პროსპექტისაკენ.

აქ მოადგილის სასახლის ახლო, გიმნაზიის შენობასთან, უმთავრესათ ახალგაზდობა შეკრებილიყო. მათში ერია ვანოც.

აგერ გამოჩნდა და მოახლოვდა ხულიგანთა ბრბო. მანიფესტატები დაუახლოვდნენ გიმნაზიის შენობას, სადაც ქუჩის პირათ ხალხი ჩამწკრი-

*) იხ. „ცის ნამი“ № 5

და დიმიტრი ლაზალიშვილი 13 წლის; გამხრიკილთ აღმოაჩნდათ აგრეთვე 9 მ. წვრილი სპილენძის ფული ყველა ამ ბავშვები სცხოვრებდნენ აღნიშნულ პირებთან იმ მიზნათ, რომ მათ მათხოვრობით ფული მოეკრიბათ და მიეტანათ პატრონებისათვის, რომელნიც მოკრებილ ფულს თავიანთ საჭიროებისათვის ხმარობდნენ. ბავშვების მომტაცებელნი იმ მიზნით, რომ მცხოვრებთა შორის ბავშთადმი შებრალება გამოეწვიათ და ამით უფრო გაეძლიერებიათ შემოსავალი ბავშვები იგინი შიმშილით და ტანჯვით ამახინჯებდნენ და ხშირად ხელოვნურათ აშავებდენ. საბერძნეთის კონსულის მოთხოვნილებით ყველანი ზემოდ სახელდებულნი პირნი დაპატიმრეს. მათ გაჰგზავნიან საბერძნეთში, რომ ბრალდებულნი პასუხის გებაში მისცენ, ხოლო მოტაცებული ბავშვები პატრონებს ჩააბარონ.

✦ პოლიციამ, 10 დეკემბერს, დაპატიმრა კახელები ლ. შანშიაშვილი და ნ. შაშვიაშვილი, რომელთაც ბრალდებათ 8 დეკემბერს მეკურტნის თავ-დაცემა და ღვინიან ბოთლების დალეწვა.

---

### ამონაკვნესი

(სიმღერა).

ოხ, როდის მოვა, ის დღე ნეტარი,
მაღალი სწავლით ხალხი განათლდეს,
უზენაესი ცხოვრება იწყოს
და სიმართლისა გზასა დაადგეს.

—

ოხ, როდის მოვა ის დღე ნეტარი,
სამოთხე მართლა ქვეყნათ დამყარდეს
მოისპოს ყველგან შური და მტრობა
ხალხს ერთი მორე ძალზე უყვარდეს.

—

მრწამს მოვა ეს დრო ქვეყნად დიადი,
თუმც არა მალე, ოხ გვიან, გვიან,
როდესაც ხალხი უმაღლეს სწავლით
გაბრწყინდებიან-განათლდებიან...

**ევგ. დვალი.**

---

### პარტიების ცხოვრებიდან.

—

26 ნოემბერს გაიხსნა თბილისის საგუბერნიო კონფერენცია რუს. სოც.-დემ. მ. პ, რომელიც გაგრძელდა 5 დღეს. კონფერენციას დაესწრო 11 დელეგატი გადამწყვეტის ხმით, და 17—სათათბირო ხმით, მათ შორის—6 თბილისიდან. ახალციხის და ბორჩალოს მაზრიდგან არ დასწრებიან დელეგატები.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ყველა პროვინციებში შანტაჟი და ყაჩაღობა ძალიან ხშირი მოვლინა ყოფილა, სხვა და სხვა პარტიების სახელით, რამაც გამოიწვია რეაქცია ძირიდან, ხალხიდან, რაც აძნელებს პარტიულ მუშაობას. თითქმის ყველა ორგანიზაციები თხოულობენ ძველ ანგარიშებს. კონფერენციამ გაარჩია შემდეგი კითხვები: 1) როგორი უნდა იყვეს ჩვენი მუშაობა სოფლად, 2) პროფესიონალური კავშირები, 3) საგლეხო ბანკი და ჩვენი დამოკიდებულება მასთან, 4) ტყის, დრამის და ლალების კითხვა, 5) საურთიერთო დამხმარებელი კასები და კოოპერაციები, 6) საგლეხო გაზეთი, 7) მესამე სახემწიფო სათათბირო და ჩვენი დამოკიდებულობა მასთან 8) საგუბერნიო ცენტრი და სხვა საორგანიზაციო კითხვები.

კონფერენციაზე იყო მოწვეული ერთი ბოლშევიკი მოხსენების წასაკითხავათ მესამე სახემწიფო სათათბიროზე. ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია ორმა კითხვამ, სახელდობრ მესამე დუმის კითხვამ და სოფლად მუშაობის საკითხმა.

პირველ საკითხის შესახებ გამოითქვა სამი აზრი: ერთს იცავდა მენშევიკი მომხსენებელი, ის ამტკიცებდა შემდეგს: დღევანდელი მომენტი არის—მომენტი რეაქციისა და საერთოთ სიწყნარისა, რომელიც მოჰყვა 1905 წლის დეკემბერს. დღეს განმათავისუფლებელი მოძრაობა დროებით დამარცხებულია და ასეთ მომენტში შესდგა მესამე სათათბირო, თუმცა თავისი შედგენილობით რეაქციონურია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მისი არსებობის წინაღმდეგ ვერ წავალთ, რადგანაც ობიექტიური პირობები ხელს არ გვიწყობენ; იმიტომაც ჩვენი ბრძოლა მის წინაღმდეგ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ სასტიკ კრიტიკაში, როგორც თვით სათათბიროში, აგრეთვე მის გარეთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ, ის რეფორმები, რომლებსაც მესამე სათათბირო მოგვცემს, რადგანაც დარწმუნებული ვართ ოქტომბრისტები და მათი ახლო მდგომი პარტიები ობიექტიურის პირობების ზე-გავლენით მოითხოვენ მთავრობისაგან ზოგიერთ რეფორმებს. რადგანაც მთავრობა ოქტომბრისტებსა და მათ მოკამათის ყველა მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს ამიტომ მოსალოდნელია კონფლიქტები სათათბიროში, რასაც ჩვენ გამოვიყენებთ; ს. დ. ფრაქციამ ორგანიულ მუშაობაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომელსაც ექნება ორგვარი მნიშვნელობა: ერთი, რომ თავის კანონპროექტებს დაუპირდაპირებს სხვა კანონ-პროექტებს და ეს კი იქნება საქმით აგიტაცია; და მეორეთ კენჭის ყრის დროს ხმას მისცემს უფრო მოლიბერალო პროექტს; მეორე შეხედულება გამოსთქვა ბოლშევიკებმა; ის ამბობდა; სათათბირო რეაქციონურია. როგორც უნდა იყვეს მისი ცენტრი-ოქტომბრისტ-მემარჯვენე თუ ოქტომბრისტ-კადეტური, ორივე შემთხვევაში განმათავისუფლებელი მოძრაობის სასარგებლო რეფორმებს არ გამოიმუშავებენ, პირიქით სათათბირო შეებრძოლება ამ მოძრაობას. მთავრობა გამოიყენებს მას თავის სასარგებლოდ. რუსეთს არა აქვს პარლამენტი; დღევანდელი სათათბირო მხოლოდ ბიუროკრატიული კანცელარიაა და სხვა არაფერი. ამისათვის ორგანიულ მუშაობაში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. მესამე აზრი ეკუთვნოდა ერთ ჯგუფს მენშევიკებისას, რომლებიც ამბობდენ: მესამე სათათბირო არ გავს პირველ-ორ სათათბიროს, ეს არის ნაყოფი 3 ივნისის კანონისა; მთავრობამ ხელოვნურათ შექმნა იგი, რომ მსხვილ კაპიტალისტ-მემამულეების ინტერესები დაიცვას.

ფრიად საინტერესო იყო კითხვა: საგლეხო ბანკი და ჩვენი დამოკიდებულობა მასთან, რომლის შესახებ თითქმის ერთ ხმათ იყო გამოთქმული, რომ ამ გვარ ბანკებით მთავრობას უნდა გამანთავისუფლებულ მოძრაობის შეფერხება, რადგან ის ფიქრობს ასეთის საშუალებით აგრარულ კითხვის გადაწყვეტას მემამულეების და მსხვილ მესაკუთრე გლეხკაცობის სასარგებლოთ. ბანკები ყიდულობენ მამულებს მემამულეებისაგან და შემდეგ ჰყიდიან შეძლებულ გლეხ-კაცობაზე—ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ იჯარით აძლევენ გალატაკებულ გლეხებს და ერთ-ორათ ახდევინებენ გადასახადს. გარდა ამისა, ბანკი თავის ფულს დაუყონებლივ ითხოვს და ამიტომ გლეხებს სასტიკი ზომებით ახდევინებს გამოსასყიდ ფულს, რომელსაც, რაც დრო გადის, პროცენტები ემატება. ჩვენი დამოკიდებულობა მათთან უნდა იყვეს უსათუოდ უარყოფითი. კონფერენციამ საჭიროთ სცნო, გამოიცეს საგლეხო გაზეთი; ბოლოს კონფერენციამ აირჩია საგუბერნიო ცენტრი 15 კაცისაგან, რომლებმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ყველა პროვინციებს. ის უნდა იკრიბებოდეს ორთვეში ერთხელ, იწვევდეს საგუბერნიო კონფერენციას, ის არის ამორჩეული ექვსი თვით. ადგილობრივ კონფერენციებზე ცენტრი უნდა გზავნიდეს თავის წარმომადგენლებს გადამწყვეტის ხმით.

გიორგი.

---

### პროვინცია

—

**ზემო ქართლი.** შავბნელმა ძალებმა სული შეუხუთეს აქაურს გლეხკაცობას და უკანასკნელ სარჩო საბადებელს სტაცებენ ასეთვე გალატაკებულ გლეხკაცობას. აქაურმა პრისტავმა წოდებამ, თათო-ოროლა გამოსაკლისის გარდა, ჩასჭიდა მაგიდებული ხელი თავის უმცროს ძმას, ადგილობრივ ადმინისტრაციას და გლეხკაცობას ერთი ოთხით და ერთი-ხუთით ახდევინებს ხველრ ფულს. მაგრამ ზემელთა სულის ჩამდგმელი პრისტავი თავადიშვილი გიორგი ამილახვარი, სრულიად თავისუფლად დათარეშობს მთელ გორის მაზრაში თავის ასეულით და ასეთვე გამწარებულ გლეხს სულს უფრო ამწარებს. ხარაგაულის მაგიერად ბ. ამილახვარი ფულად ახდევინებს და რა ფასად იცით? კოდი პური 6-7 მან და სიმინდი 4-5 მან. დამშეული გლეხი ნატრობს: ნეტავ ფულად არ გვახდევინებდესო. სალდათებს ხორბალი კი აქვთ? ამიტომ ყაზახებს სარჩოს სახლ ჰგლეჯავენ და სხვა საჭირო ნივთებს, რომ მამულის ერთგულ თავადიშვილს გადუხადონ ვალი. და განა მარტო ამილახვარი იქცევა ასე? მთელი თავად-აზნაურობა გორის მაზრის და განსაკუთრებით ფალავანდიშვილები, რომლებმაც შეადგინეს, არა, უკეთესი იქნება ვთქვა, ადგინეს 1905 წლისეური შავი რაზმი, მხოლოდ სხვა სახელით. რომ უფრო ადვილათ შეეძინათ იარაღი, მათ ადგილობრივ ადმინისტრაციას მიმართეს თხოვნით: იარაღი დაგვირიგეთ, სოფლისფალავანდიანთ ტყე სულ გაკაფეს გლეხებმაო და ტყეს საქართველო უბედური დარჩება, თუ ჩვენ არ დავიფარავთო! ამ გზით მიიღეს იარაღი და, მკითხველო, შენ წარმოიდგინე რა იქნება იარაღ ასხმული თავადიშვილი გლეხებისათვის. ვის ახსოვს ტყე, ან ვისგან უნდა დაიფარონ ეს აზრათაც არ ქონიათ მათ. ამ გზით მათ მხოლოდ იარაღი აისხეს და შეიძინეს საშუალება უფრო მეტ გაბედულის მოქმედებისათვის. დღეს ფალავანდიშვილები წარმოადგენენ მჭიდროთ შეკავშირებულ შავ რაზმს, რომელნიც არავითარ საზიზღრობას არ ერიდებიან, რომ გლეხი მიწასთან გაასწორონ და სისხლი ამოსწოვონ. აი მაგალითაც: როდესაც

---

ვებულიყო. „шапки далой!“ ბრძანების კილოთი ჩახრინწიანებულის ხმით დასჩხავლეს მათ თვალებ-დასისხლიანებულმა ხულიგანებმა. ხალხი არ გაინძრა. ხულიგანები ცოფიანებივით დაერივნენ ხალხს, შეგირდებს და დაუწყეს უწყალოთ ცემა. გამხეცებული ბნელეთის წარმომადგენლები პირიდგან დორბლებსა ყრიდნენ და ყველას, დიდს და პატარას განურჩევლათ ცხვირ-პირს ულეწავდნენ.

პროვოკაციამ გასჭრა. გაჩდნენ კაზაკები და შეიარაღებული სალდათები, ასტყდა საშინელი დამაყრუებელი სროლა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, შვიდ-რვა წლის ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ და ხიშტებზე აგებდნენ. ბოღმა-მორეული, გახრწნილი ბნელი ძალები ჯოჯოხეთურათ ხარხარობდნენ...

VII

შუა დღე იყო. მოკრიალებულ ლაჟვარდ ცის კამარაზე მზე მაღლა ამართულიყო და თავის ცხოველმყოფელ სხივებს თბილისსაც უხვათ აფრქვევდა. ჰაერში შემოდგომის სუნი ტრიალებდა. ქუჩების ნაპირებზე ჩამწკრივებული ხეები ნახევრათ ყვითლათ გამოიცქირებოდნენ.

მთელი ქალაქის ცხოვრების მაჯა შეჩერებულიყო: აღარ ისმოდა ქუჩებში ჩვეულებრივი ხმაურობა, რახრახი, ბრაგაბრუგი, ტრამვაის ვაგონების ზარის წკარუნი და სხვა. ყველა სავაჭრო-სამრეწველოები დაკეტილები იყვნენ.

ქალაქის ერთ განიერ და სწორე ქუჩაზე, სამგლოვიარო პროცესია მიდიოდა, რომელსაც აუარებელი ხალხი მისდევდა. წინ ორკესტრი მიდიოდა, რომელიც დროგამოშვებით სამგლოვიარო მარშს უკრავდა; ორკესტრის უკან ხის მწვანე ტოტებისაგან გაკეთებული ჯვარი, ანუ წამების ემბლემა და რამოდენიმე წითელი და შავი დროშა მიჰქონდათ; ამათ წითელ ლენტებით შემკული გვირგვინების ტყე მისდევდა. წითელ დროშებზე და ლენტებზე ოქროსფერ ასოებით, შავ დროშებზე კი წითელი ასოებით სხვა და სხვა ენაზედ სხვადასხვა წარწერა იყო: „შენ ხალხში მართალი სიტყვა შეგქონდა, როგორც ცოცხალი სხივი“, „თავისუფლებისა და მუშათა საქმისათვის თავდადებულს“, „მტარვალებისაგან ვერაგულათ განგმირულ ამხანაგ ვანოს“ და სხვა. შემდეგ თეთრი კუბოს თავი და თვითონ კუბოც მიჰქონდათ; კუბო, საიდგანაც 26 წლის ვანოს ყვითელი სახე ამოიცქირებოდა, გძელი წითელი ლენტებით მაღლა ამართული ეჭირათ; შემდეგ შეიარაღებული მილიციონერთა რაზმი მიდიოდა, რომლებსაც ხალხი ზღვასავით მიჰყვებოდა.

წეს-რიგს თვითონ ხალხი იცავდა.

პროცესია დინჯათ, ნელის ნაბიჯით მიდიოდა; გამოლეიძებული და წელში ამართული ხალხის ერთი წყება მეორეს რიგ-რიგად და მწყობრად მისდევდა. ორივე სქესის ახალგაზდობა, რომელიც კუბოს გარს შემორტყმული აცილებდა ხან-გამოშვებით სამგლოვიარო მარშსა მღეროდა; მათ შორის ერთი ახალ-გაზდა, შავებში გახვეული მანდილოსანი მოსჩანდა, რომელსაც უსიტყვოთ ცრემლის ნაკადული სდიოდა.

ნაღვლიანი და გულ-ჩათხრობილი ხმები მარშისა ჰარმონიულათ გაისმოდა ჰაერში; კაცების მჭახე და ბოხ ხმებთან ერთად მწყობრათ ისმოდა ქალების ნაზი და წკრიალა ხმები; ხალხის გულიდან ამოხეთქილი სიმღერა, რომელშიც საერთო, სახალხო მწუხარებასთან ერთად მტარვალისადმი მუქარა იყო ჩაწნული, ნელ ნიავს აქეთ-იქით მიჰქონდა და არემარესა ჰფენდა.

ამ რიგად პროცესია ავიდა სასაფლაოზე, რომელიც ქალაქს ზევიდან გადმოსცქეროდა. მიცვალებული სამარის პირზე დაასვენეს და ხალხი კუბოს ირგვლივ შემოერტყა.

სამარის პირთან ამოთხრილ მიწის გორაზე შედგა ახალ-გაზდა კაცი, რომელმაც ალგზნებული თვალები არწივივით ირგვლივ ხალხს მიმოავლო:—„ამხანაგებო და მოქალაქენო!—მჭახე ხმით მიმართა ორატორმა ხალხს, რომელიც ამ სიტყვებზე შეირყა, შეტორტმანდა და შემდეგ სულ-განაბულმა მთელი თავის ყურადღება ორატორს მიაპყრო.—სულ ერთი კვირაა,—განაგრძო მან,—რაც 17 ოქტომბრის მანიფესტით რუსეთის ხალხს თავისუფლება მიენიჭა, მაგრამ, მიუხედავად ამისა გუშინწინ კვლავ ხალხის სისხლით შეღებეს თბილისის ქუჩები... სხვებთან ერთად დაუნდობელმა ტყვიამ იმსხვერპლა ჩვენი საუკეთესო და მოწინავე ამხანაგი ვანოც. აი რა მოჰყვა ზევიდან ბოძებულ თავისუფლებას; აი როგორ დაიცვეს პიროვნების ხელ-უხლებლობა! ეს, თავისუფლება კი არა, ხალხის ყბად აღება, მწარე დაცინვაა და სხვა არაფერი!

საერთო პოლიტიკურმა გაფიცვამ, რომელსაც რუსეთის დევ-გმირი პროლეტარიატი ხელმძღვანელობდა, რკინის რგოლივით მაგარი მუხრუჭი მოუჭირა დაძაბუნებულ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას. მთავრობამ ველარ გაუძლო ხალხის ასეთ მედგარ იერიშს და მის წინაშე ძალა-უნებურათ ქედი მოიხარა. ის იძულებული გახდა, ხალხის მოსატყუებლათ, მანიფესტით კუდ-მოკვეცილი კონსტიტუცია გამოეცხადებინა. მაგრამ ბიუროკრატიამ წინდაწინვე ყველა ბნელი ძალები ფარულათ შეაკავშირა, შეაიარაღა და მანიფესტის გამოცხადებისათანავე ისინი თავის ბაშიბუზუკებთან ერთად ხალხს მიუსია. მთელი რუსეთი უმანკო მსხვერპლებით მოფინეს... ჯერაც არ გამშრალა სისხლი გოლოვინის პროსპექტზე; ჯერაც არ გაციებულან იქ ვერაგულად განგმირულთა გვამები.

მაგრამ ბურჟუაზია მაინც ხარობს და დღესასწაულობს ასეთ თავისუფლებას, რადგანაც მან ამ მანიფესტით სავსებით მიიღო ის, რაც მას ესაჭიროებოდა. მისი გულითადი მისწრაფება იყო და არის „ძლიერი და სამართლიანი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა“, ე. ი. მონარქიული კონსტიტუცია. და აი სწორედ ასეთი მართვა-გამგეობის ქვაკუთხედს იძლევა ახლად გამოცხადებული მანიფესტი. ბურჟუაზია, დღემდის რიდე ჩამოფარებული, ჩვენ თანაგვიგრძნობდა და მოგვდევდა ბრძოლაში; დღეის იქით კი, რიდე ჩამოგლეჯილი, ის იძულებულია თავის ნამდვილი, მოღალატური და მყვლეფ-მგლეჯველი სახით ეჩვენოს პროლეტარიატს. მანიფესტით დაკმაყოფილებული და პროლეტარიატის დროშით დამფრთხალი, ის ამის შემდეგ ჩამოგვშორდება და ჩვენ საწინააღმდეგოთ მთავრობას გვერდში ამოუდგება.

იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი თავის ძვლებით ქუჩებსა კირწყლავს, იმ დროს, როდესაც საერთო ყიჟინა და გმინვა გაისმის პროლეტარების უბნებში, ამ დროს ბურჟუების მრავალ-სართულიან სასახლეებიდან, რომლებიც პროლეტარიატის ოფლით და სისხლით არის აშენებული და გალამაზებული, ისმის სხვადასხვა საკრავების სამხიარულო და სადღესასწაულო ხმები. გახარებულ ბურჟუაზიას სურს, რომ მხოლოდ იმან ისარგებლოს ამ გამარჯვების ნაყოფით, მხოლოდ იმან მოიპოვოს ძალა-უფლება.

მაგრამ ჩვენ შეცვლილ პოლი-

ბრწყინვალე წოდება შეესია გლეხებს და მოსთხოვა ღალის გადახდა, გლეხებმა უპასუხეს; მოსავალი არა ყოფილა და პური ჩვენი სამყოფი რომ არა გვაქვს, თქვენ როგორ მოგცემთო. თავად-აზნაურობამ მიმართა ადგილობრივ ადმინისტრაციას და მის საშუალებით ახდევინებდა გლეხებს ღალას, თუმცა კანონის ძალით ადმინისტრაციას არ შეუძლიან კერძო პირის სასარგებლოდ ვისმე რამე გადაახდევინოს თუ სასამართლოს განაჩენი არ იქნება. ამის შემდეგ გლეხებმა მიმართეს საგლეხო საკრებულოს და სთხოვეს დახმარება. საგლეხო საკრებულომ გაგზავნა თავის წარმომადგენელი იმის გამოსაძიებლად შეეძლო გლეხს გადეხადა ღალა თუ არა. თავად-აზნაურობა—ეს კეთილშობილი გვამნი—საზიზღარ სიცრუესაც არ მოერიდნენ. საგლეხო საკრებულოს წარმომადგენელი ბ. ასეცკი წაიყვანეს მათ სოფ. მოხისში და უჩვენეს იქაური ვაჭრების ბეღელ-ამბრები და უთხრეს: „ამოდენა ხორბალის პატრონს განა ღალის გადახდა არ შეუძლიათ და ეგელა გლეხები კი ასე მსუქნათ და მდიდრათ არიანო. გლეხები მოსთქვამდნენ, და ევედრებოდნენ მათი ბეღლებიც დაეთვალიერებინათ, მაგრამ ბ. ასეცკის არ ესმოდა ქართული, მთარგმნელი კი, იგივე მემამულე, სიმართლეს უმალავდა, რასაც ლაპარაკობდნენ გლეხები. ამგვარად ასეცკი გამობრუნდა თბილისში იმ რწმენით, რომ გლეხებს ბევრი მოსავალი აქვთ და ღალის გადახდა შეუძლიათო. ამ გამარჯვებით გათამამებულმა თავად-აზნაურობამ უფრო მეტად მოუჭირა მუხრუჭი და ლამის გლეხს სული ამოხადოს. ნეტავ სად ნახავს გლეხი ხსნასა?

კოლნუი.

---

# პატარა ფელეტონი

## აბა, რას მიცქერ?!..

(ლექსი პროზათ)

(ვუძღვნი ზოგიერთ მეგობრებს).

აბა, რას მიცქერ, ილაჯ გაწყვეტილ, ღონე მიხდილ, ფერ დაკარგულს?.. განა, ველარ მცნობ გასულ დროის საუკეთესო შენს მეგობარს?! თუ, კარგათ მიცნობ, მაგრამ ზიზღით მიმზერ მხოლოთ იმისთვის, რომ განგებამ შენთან საველ გზას ამაშორა და მით შენ მსგავს, ფლიდს და ქვემძრომ ხალხს ჩამომაშორა?.. გრცხვენოდეს შენ! შენში ვხედავ ყველა იმ ადამის ტომს, რომელიც სცხოვრობს მხოლოდ იმისთვის, რომ ჭამოს, იძინოს და მხოლოდ იფლიდოს!! ყველას ეწკმუტუნოს, ყველა ენით ლოკოს, მოელაქუცოს სუყველას პირში და, თუ დასჭირდა, თავის სარგებლობისთვის თავისი მოძმე გაყიდოს გროშად!.. აი, რაში ხატავთ თქვენ ცხოვრების სალსარს და იმავე დროს გსურსთ ატაროთ ჭეშმარიტი კაცის სახელი; ლითონის სიტყვით ყველა ერთ ხმათ გაიძახით, რომ ვითომ თქვენ ხართ ამა ქვეყნის ამშენებელნი!!...

უსირცხვილონო, ისიც არ გჯერათ, რომ მაგგვარის ქცევით წინმსვლელობას მეტათ აფერხებთ?! მოყვარისადმი მძულვარებას და ცხოვრების სახსრათ ფარისევლობას ამეფებთ?! გრცხვენოდეთ, რომ თქვენის—არა ადამიანურის—ქცევით ადამიანებს პირუტყვზედაც დაბლა აყენებთ, რომლებიც, თქვენის წყალობით—პატიოსნების და სინიდისის თაყვანისცემას გადაჩვეულან და მის ნაცვლათ სიდუხჭირეს, ფარისევლობას, ადამიანურ ღირსების გამქარწყლებელ აზრებს შევთვისებიან!!!..

განა ველარ მცნობ? ზიზღით მიცქერ! ქოქოლას მაყრი, რომ შენსავებრ ჭეშმარიტებას გვერდი არ ავუქციე და გაიძვერობას, რომელიც შეგისისხლხორცებია, პატივი არ ვეც? არ გაგყევი ფარისევლურ ცხოვრების გზაზე და როსკიპი ქალის ლეჩაქი არ ვაფრიალე?

ველარ მცნობ, მით უმეტეს, როდესაც ჩემში სარგებლობას ვერასა ხედავ. გაიძვერავ, შენ კარგათ იცი, რომ ჭეშმარიტებას მე არ დავმარხავ და შენთან მოსვლით ჩემს წმიდა აზრებს მე არ შევღალავ!!! შენ მცნობდი მაშინ, როდესაც ჩემში სარგებლობას პოულობდი და როდესაც, შენის სიტყვით, ბედიც მწყალობდა, ხოლო ველარ მცნობ ძველი ტანისამოსით, პატიოსანის შრომით დაღალულს და შესასვენებლათ მჯდომარეს აი ამ ქვაზე?!!

იცი ვერ გასარგებლებ და ჩემს უნუგეშო სურათს, შეწყნარების წილ, რომელსაც შენგნით სულაც არ ვითხოვ,—დასცინი! და ეს გგვრის სიამოვნებას. წინ ჩამომიარე და სიცილის შემდეგ წაიბუტბუტე: „რა დაემართა, ადამიანს სულ აღარა გავს, ნეტავ სიცოცხლეს თუ კიდევ ელის, სიკვდილის გზაზე უკვე დამდგარა და მაინც ხალხს აწუხებს ამ სიცივეში სათხოვნელათ აქ დამჯდარა!“

სტყუი, შე საზიზღარო! მე საწყალოთ აქ არ დამჯდარვარ! მეტს არას გეტყვი, გარდა იმისა, რომ ილაჯ გაწყვეტილი, ღონე მიხდილი, ფერ დაკარგული ჩემ სიცოცხლეში შენ არ შეგნატრი! არ შეგნატრი შენ წაბილწულ და ფუფუნებით ცხოვრებას!!!

მაშ, შორს, გაიძვერავ, ფლიდო, მაცდურო, შორს!!! ჩემს წმინდა გრძნობებს ვერ შებღალავს შენი ფარისევლური ქცევა!!! ჩემი დაკონკილი ტანისამოსი მირჩევნია, შენს დიბა-ატლასს და ჩემი უნუგეშო ყოფა-ცხოვრება, შენს ფუფუნებას!!! შორს, მაცდურო!!!

„ქილიტი“.

---

ტიკურ პირობებს მარჯვეთ უნდა შევუფარდოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ტაქტიკური მოქმედება, ჩვენ ეხლა უნდა გავაათკეცოთ ჩვენი ენერგია, რომ უფრო კარგათ გამოვიყენოთ აღებული პოზიცია. ჩვენ მედგარი იერიში უნდა მივიტანოთ დაუძლურებულ ბიუროკრატიაზე, ძირიან-ფესვიანათ ამოვფხვრათ დახავსებული რეჟიმი, რომ ამით ჩვენი საბოლოო მიზნისაკენ გზა გავიკაფოთ . . . . . . . . . .

ხალხი სულ განაბული გულ-მოდგინეთ უსმენდა ორატორს, რომლის აღგზნებული სიტყვები მათ გაერთებულ გულს ზღვასავით აღელვებდა. როდესაც ორატორმა მიცვალებულს მიმართა, მღელვარებამ უმაღლეს წერტილამდე მოაღწია. ბევრს ადუღებული გული ყელში აებჯინა და უსიტყვოდ ცრემლი გადმოსცვივდა. სიტყვის დათავებისას მოჭარბებული გრძნობით გაფითრებულმა და მუშტებ შეკუმშულმა ორატორმა დროს შესაფერი ლოზუნგები გადისროლა, რასაც ხალხის ზღვამ მისცა ბანი და მედგარი ძახილი მეხივით მოედო მიდამოს.

გათავდა ორატორის ლაპარაკი, კუბო სამარეში ნელ-ნელა ჩაუშვეს, მიწა მიაყარეს. ახალგაზრდობამ თბილ საფლავზე მარსელიოზა შემოსძახა და ქალაქისაკენ სიმღერით გაემართა...

**ს. პართენაშვილი.**

# რუსეთის ამბები

**პოლიციის გაძლიერება.** ელისავეტგრადის ერობის საგანგებო კრებაზე ტერორის, ცარცვა-გლეჯის და წვა-დაგვის წინააღმდეგ საბრძოლველად 150,000 მანეთი. გადასდეს დეკემბრის პირველიდან დაიწყო სამაზრო პოლიციის გაძლიერება გარდა ამისა ერობამ მაზრის დაცვისათვის სტრაჟნიკებათ მოიწვია 150 ყუბანელი კაზაკი.

**მუშების მასსიური დაპატიმრება.** ქ. ლოძში პოლიციამ დააპატიმრა ასამდის ლიუნკენსის ფაბრიკის მუშა. დაპატიმრების მიზეზი იმავე ფაბრიკის მასტერის მკვლელობაა.

**მურომცევის გაცილება.** 3 დეკემბერს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობა, ლექციის გათავების შემდეგ, შეეგება თავის პროფესორ მურომცევს, პირველ სათათბიროს დეპუტატათ ნამყოფს და გულმხურვალეთ გამოემშვიდობა. ოთხმა ორატორმა წარმოსთქვა ცხარე, თანაგრძნობის სიტყვა. მურომცევი პეტერბურგს მიემგზავრებოდა, ვიბორგის მოწოდების გამო, როგორც პასუხისგებაში მიცემული, სასამართლოში გამოსაცხადებლათ.

**პეტერბურგის ხუროთმოძღვართა აკადემიის დარბაზში**, სტუდენტებმა 4 დეკემბერს კრება გამართეს. რაოგან კრება აკადემიის რექტორის მიერ ნებადართული არ იყო, რექტორი ბევლემიშევი გამოცხადდა დარბაზში და სტუდენტებს სთხოვა დაშლილიყვნენ. ერთი სტუდენტი რევოლვერით მიუახლოვდა ბევლემიშევს და დაემუქრა: თუ არ დატოვებ დარბაზს, ახლავე მოგკლავთო. რექტორი გაფითრდა, მაგრამ ადგილიდგან არ დაძრულა. „მომკალით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მე მყავს ცოლი და შვილებიო“. სხვა სტუდენტებმა რევოლვერი წაართვეს ამხანაგს და დააშოშინეს. ბევლემიშევი ამ შემთხვევის გამო ლოგინად ჩავარდნილა.

**გაძლიერებულ დაცვის წესები** შემოიღეს ნიჟეგოროდში, სამარის საქარხნო რაიონში და მოსკოვ-ნიჟეგოროდის რკინის გზის ლიანდაგებზე. იგივე წესები დატოვეს მომავალ 1908 წ. ნოემბრამდე. ვორონეჟის, პალტავის, მინსკის, გუბერნიებში, აგრეთვე ვლადიმირის გუბ. ქ. ტირასპოლიში და ნიჟეგოროდ-მოსკოვის რკინის გზის ლიანდაგზე.

**სიმფეროპოლში** სანადირო თოფით მოუკლავთ სადგურ ალმას ჟანდარმი.

**სამარაში** შეიარაღებულ აჯანყებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოახრჩვეს როგოვი.

**რიგაში** დაუტუსაღებიათ ს.-დ. პარტიის სამხედრო ორგანიზაცია, სულ 20 კაცი. მათ შორის არიან ჯარის კაცები და ქალებიც.

**პეტერბურგში** ლაფერის საამხანაგო ქარხანაში გაფიცულა 60 მუშა. ქარხანაში სულ 1500 მუშა ყოფილა, რომელთაც სურვილი განუცხადებიათ მუშაობისა. უმართებულესს სენატს განუმარტებია, რომ ლაფერის საამხანაგო ქარხანას უფლება აქვს გაუფიცავ მუშებსაც არ მისცეს იმ ორი კვირის ხელფასი, როდესაც 60 მუშა იყო გაფიცული.

---

## პასუხი „წყაროს“ კორესპონდენტს.

ამას წინეთ სემინარიიდან ვინმე №-მა მოათავსა „წყაროს“ № 19-ში წერილი თფილისის სასულიერო სემინარიის მოსამსახურეების შესახებ. წერილის ავტორი სიმართლესთან ერთად ტყუილებსაც კადრულობდა. სხვათა შორის ის სწერდა: „მოწაფეები პირველ საათამდე არ წვებიან და თუ ამ დრომდე მოსამსახურე ოთახის დასუფთავებას მოისურვებს, მას ყვირილით და ცემით კარში აგდებენ. ასე მოიქცა მაგალითად ამ დღეებში მოწაფეების ერთი ჯგუფი და სხვ.“ ეს მტკნარი სიცრუეა, აქ მოყვანილი ინციდენტი გამოიწვია ორმა მოსწავლემ და არა ჯგუფმა. ამას ზოგიერთმა ამხანაგებმა ყურადღება მიაქციეს და საპასუხო წერილიც კი დასწერეს „წყაროს“ მე-34 ნომერში. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს საპასუხო წერილის ავტორების გულწრფელობაში, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ არავითარი მონდობილობა არ ჰქონიათ ამხანაგებისაგან, როგორც ამას ითვისებენ. თუ წერილის ავტორებს რომელიმე ერთი კლასი სემინარიათ მიაჩნიათ, ეს არ ვიცით, მხოლოდ დანარჩენ კლასებს, წერილის შესახებ არა სცოდნია რა. ამას გარდა, როგორც გავიგეთ, წერილი ერთობ ნაჩქარევათ ყოფილა კრებაზე გარჩეული, რის გამო შეუძლებელი იქნებოდა ყოველი აზრის ნათლათ და მკაფიოთ გარჩევა—გათვალისწინება. თვით წერილის შედგენაში მონაწილეობის მიმღებთა ბანაკშიაც გაისმის დღეს უკმაყოფილება წერილის შინაარსის გამო, და ეს ასრეც უნდა მომხდარიყო, რადგან წერილის ავტორები ერთობ საკმაო საბუთს იძლევიან ამისათვის. აღნიშნავენ რა ისინი, რომ ერთმა მოწაფემ უწინ სცემა მოსამსახურეს, რისგამო უკანასკნელმაც ცემითვე უპასუხა მოწაფეს, როგორც ეტყობათ, გამოსთქვამენ თავის სიხარულს მოსამსახურის საქციელის გამო და იქვე ფრჩხილებში შენიშნავენ „მამა უცხონდაო“. შემდეგ ეხებიან მეორე მოწაფის საქციელს, რომელმაც შეუბრალებლათ სცემა კიდევ მოსამსახურეს, და ამბობენ; „გამოირკვა, რომ მოსამსახურე გალახვის და გაგდების კი არა, მეტის ღირსიც იყო“ო. ამნაირათ წერილის ავტორების შეხედულებით, როდესაც მოწაფეთა და მოსამსახურეთა შორის რაიმე უსიამოვნება მოხდება, საჭიროა „მუშტი-კრივის“ პრინციპი აღიარო, და უთანხმოებას ბოლო მოეღება. გამოდის, რომ მოწაფეთა და მოსამსახურეთა შორის ხიდი ჩატეხილია, მოწაფეები ზიზღით უყურებენ მოსამსახურეებს და ერთათ-ერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება მოწაფეებმა პასუხი გასცენ მოსამსახურეებს ან უკანასკნელებმა პირველებს, არის ფიზიკური ძალა. ეს წინააღმდეგობა შეიძლება მათ ვერ შეამჩნიეს, მაგრამ სხვისთვის ის შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა და ამის შემდეგ „წყაროს“ რედაქციას რა დარჩენოდა, რომ არ შეენიშნა: „ამ წერილში მოყვანილი ინციდენტი ჩვენ მოგვაგონებს პომიალოვსკის ბურსას“: შემდეგ რედაქცია აღნიშნავს ამ წერილის ავტორების მიერ „მუშტი-კრივის“ მოსარჩლეობას და სხვ. ერთობ ნამდვილი დასკვნაა. მაგრამ ვწუხვართ, რომ ახირებულმა კორესპონდენტებმა არა ერთხელ შეიყვანეს პატივცემული „წყაროს“ რედაქცია შეცდომაში. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ პირველი არ იყო სინამდვილის გამომხატველი, როდესაც ის ერთეულ პირების მოქმედებას სემინარიელების სახელით ნათლავდა. ეს სამართლიანათ გამოამჟღავნეს საპასუხო წერილის ავტორებმა, მაგრამ ვაი რომ უარესი ცოდვა ჩაიდინეს. ეს ვაჟბატონები სხვათა შორის ცემა-ტყეპის [illegible] სარჩლით გამოვიდნენ და სამწუხარო ის არის, რომ მთელი მოწაფეების სახელით ლაპარაკობენ. ჩვენ [illegible] მგონი აღვნიშნოთ მათი ასეთი [illegible] მიგოგმა. ამიტომაც ვურჩევთ პატივცემულ „კორესპონდენტებს“ [illegible]ტი დაკვირვებით და შეგნებით იმოქმედონ, ნუ შეიყვანენ, როგორც რედაქციას, ისე მკითხველ საზოგადოებას, შეცდომაში, ძალათ [illegible] ცხონებულის როლს ნუ იკისრებენ, თუ ამას მათგან არ მოითხოვენ [illegible] გაფრთხილდნენ, როდესაც საზოგადო ხასიათის წერილებს რედაქციაში მიაფრენენ.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რაიც „წყაროს“ რედაქციას პამიალოვსკის ბურსას აგონებს. მგონი პატივცემული გაზეთი არ იზიარებს იმ [illegible]ფლიო მხედველობას, რომელიც ინტელიგენციაში (ამ შემთხვევაში მოწაფეებში) რაღაც ერთფეროვნებას და განყოფილებას ხედავს. და თუ ასეა რა გასაკვირალი უნდა იყოს, რომ სასწავლებელშიაც შეხვდეთ თითო-ოროლა ზნედაცემულ ადამიანებს, რომლებიც თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებდენ მთელ სასწავლებლის მოწაფეების სახელს. რაც შეეხება იმ მასალებს, რომელიც წერილის ავტორებმა „წყაროს“ რედაქციას დააბეჭდვიეს. თავის დასკვნის გამოსაყვანათ, და შეცდომაშიაც შეიყვანეს. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ იმ წერილის ავტორები არ იყვნენ ამხანაგების მონდობილობით აღჭურვილნი და მათი სახელით რედაქციაში გაგზავნილნი.

სემინარიელთა ერთ ჯგუფის მონდობილობით დომენტი არონიშიძე.

---

## პ ა ს უ ხ ი

თფ წვრილ მოვაჭრეთა უმთავრეს კომიტეტს, ქართულ პურის მცხობელ მეპურეების მიმართ განცხადებაზე.

ამა 1907 წლის 10 დეკემბერს, მოხდა საერთო კრება იმ მეპურეებისა, რომლებსაც აქვთ ბ. სოზიაშვილთან ანგარიშის შესახებ დავა. კრებაზე დაწვრილებით იქნა მოხსენებული საკითხი ამ საქმის შესახებ, თუ როგორ სურდა უმრავლესობას საქმის დაბოლოვება ვ. სოზიაშვილთან და მის ამხანაგებთან. უმეტესობამ განაცხადა, რომ ბ. სოზიაშვილი მხოლოთ აბანდებდა დროს და არა საქმეს ასწორებდა, რადგან არა ერთხელ ამოურჩევია ამქარს მედიატორები, მაგრამ მას კი თავის რაღაცა ხრიკებით გადაუდვია, ანუ დაუბრკოლებია საქმე, რომელიც დღემდის გამწვავებული და ბოლო მოუღებელი რჩება. დაბოლოს ხალხმა ერთხმათ მოითხოვა „ჩეკების“ უკან დაბრუნება, რასაც მეპურეთა საბჭო სისრულეში მოიყვანს და დაუბრუნებს თვითეულ მეპურეს თავის „ჩეკს“, რის შემდეგ ყოველი მეპურე საკუთრ·ვ იქონიებს საქმეს ბ. სოზიაშვილთან. ამავე დროს ბ. სოზიევმაც იქონიოს საქმე იმათთან.

თფილისის ქართულ პურის მცხობელ მეპურეთა საბჭო.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**გიორგი სხირტლაძე.**

სტამბა „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული № 1.